სს „ხალიკ ბანკი საქართველო“
Halyk Bank Georgia

საგადახდო დავალება **№** 914262 **თარიღი**
Payment Order **Date** 16.01.2018

გადამხდელი შპს ვივა ბაგები
Sender

საიდენტ.ნომერი 405129613	გადამხდელის ანგარიში GE96HB0000000001303605	**თანხა** Amount	
Tax Code	Sender's Account	5,220.60 GEL	

გადამხდელის ბანკი/Sender's Bank ბანკის კოდი HABGGE22
სს ხალიკ ბანკი საქართველო, Bank Code

თანხა სიტყვიერად
Amount in words
ხუთი ათას ორას ოცი ლარი 60 თეთრი

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made
დასახელება
Name
საიდენტიფიკაციო კოდი / პირადი ნომერი
Sender's Tax Code

მიმღები ქ.თბილისის მერია
Receiver

საიდენტ. ნომერი	მიმღ.ანგ./სახაზინო კოდი GE67TB7002533030100118	ბანკის აღნიშვნები
Tax Code	Receiver's Acc./ Treasury Code	Document submission/receiving date

მიმღების ბანკი/ხაზინა ბანკის კოდი TBCBGE22
Receiver's Bank / Treasury Bank Code
თიბისი ბანკი

შემოსვლის თარიღი 16.01.2018
გატარების თარიღი

გადახდის დანიშნულება: სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელი ბრძანება N1-593-ის თანახმად
Operation Details

დამატებითი ინფორმაცია:

ხელმოწერა
Signature

კლიენტის ხელმოწერები: ბ. ა.
Signatures

შტამპი

სს ხალიკ ბანკი საქართველო
J.S.C. HALYK BANK GEORGIA
დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან
PRINTED FROM INTERNET BANK

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-593

"13" მარტი 2017წ.

„ქ. თბილისში, ბაგებში წყნეთის გზატკეცილი №17-ში და წყნეთის გზატკეცილი №15-ში არსებულ მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.004.028, 01.14.07.004.062), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 6 სექტემბრის №1-1630 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 23 თებერვლის №8 სხდომის ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქ. თბილისში, ბაგებში წყნეთის გზატკეცილი №17-ში და წყნეთის გზატკეცილი №15-ში არსებულ მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.004.028, 01.14.07.004.062), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 6 სექტემბრის №1-1630 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილი №17-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.14.07.004.068) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილი №17-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.07.004.068), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=4,3.“;

საქმის წარმოების განყოფილება №3

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

გ) დაემატოს 1^1 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„1^1. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდილ იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12^2 მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-49 დადგენილების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მოსაკრებელის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე (მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია. მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“. TBCBGE22. ანგარიში: GE67TB7002533030100118.) 5220.6 (ხუთი ათას ორასოცი ლარი და სამოცი თეთრი) ლარი.“.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია